საბჭოს ერთობლივი მოქმედება **2008/759/CFSP, 2008 წლის 25 სექტემბერი**

2008/736/CFSP ერთობლივი მოქმედების შესწორება საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ (**EUMM Gეორგია**)

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-14 მუხლს,

ვინაიდან:

(1) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/ჩFშP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ, სადაც მითითებული იყო ფინანსური უზრუნველყოფა 31 000 000 ევროს ოდენობით.

(2) სასურველია გაიზარდოს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დაფინანსება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისიის სამოქმედო მოთხოვნები,

მიიღო ეს ერთობლივი მოქმედება

მუხლი 1

2008/736/ჩFშ ერთობლივი მოქმედების მუხლი 14 (1) შეიცვალოს შემდეგით:

‘1. მისიის ხარჯებთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფა განისაზღვრება 35 000 000 ევროს ოდენობით.’

მუხლი 2

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე.

მუხლი 3

ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, **2008 წლის 25 სექტემბერს.**

საბჭოს სახელით

თავმჯდომარე **ბ. კუშნერი**

(http://eur-lex.europa.eu/ (საკუთარი თარგმანი)